# *ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა*

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

| |
|---|
| სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა |

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070205

ქვეპროგრამის დასახელება:

| |
|---|
| სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება |

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

| |
|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

| დასახელება | 2014 წელი |
|---|---|
| ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები | 742 400 |
| სულ ბიუჯეტი: | 742 400 |

ქვეპროგრამის მიზანი:

| |
|---|
| სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის ამოქმედებით აჭარის სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი და სადიაგნოსტიკო საშუალებები. |

ქვეპროგრამის აღწერა:

| |
|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან მუნიციპალიტეტებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა.<br>დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.<br>ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.<br>თემის სამედიცინო პუნქტების (შემდეგ-თსპ) მედდებთან ხელშეკრულების გაფორმებას, თსპ-ისათვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. |

| დასახელება | პროდუქტები | | |
|---|---|---|---|
| | რაოდენობა | ერთ. საშ. ფასი | სულ (ლარი) |
| მედდების ხელფასები | 228 | 250,0 | 684 000 |
| მედიკამენტები სამედიცინო პუნქტებისთვის | 184 | 23,7 | 52 400 |
| სადიაგნოსტიკო საშუალებების (გლუკომეტრის ტესტ-ჩხირები) რეაბილიტირებული სამედიცინო პუნქტებისათვის | 184 | 32,6 | 6 000 |
| სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი | | | 742 400 |

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

| საქმიანობის აღწერა | 1 კვარტალი | 2 კვარტალი | 3 კვარტალი | 4 კვარტალი |
|---|---|---|---|---|
| მომსახურების მიმწოდებელთან ხელშეკრულებების (კონტრაქტების) გაფორმება | X | | | |
| მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების მომწოდებლის შერჩევა | X | | | |
| სამედიცინო მომსახურეობა | X | X | X | X |

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

| |
|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით. |

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

| მოსალოდნელი შედეგი | შედეგის ინდიკატორები | გაზომვის ერთეული | მონაცემთა წყარო | სიხშირე | პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია) | მოგროვების მეთოდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის  მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით უზრუნველყოფა. | სოფლის მოსახელობის ჩართულობის მაჩვენებელი | 100% | თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები | წელიწადში ერთხელ | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო | წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს |